



ფილოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის დოქტორი

კრედიტების რაოდენობა - 180 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ალიბეგაშვილი, ტარიელ ფუტყარაძე

საკონტაქტო პირი: ტარიელ ფუტყარაძე, ტელ.: 577 71 78 11

თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე ორიენტირებულ ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზანია ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების კვლევა თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; კერძოდ, დაგეგმილია ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველურ ენა-კილოთა ისტორიის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ენობრივი პოლიტიკის, ქართველური ონომასტიკის და საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის აქტუალური პრობლემების შესწავლა-კვლევა. დოქტორანტს შეუძლია, სადისერტაციო თემა აიღოს ქართული ენის ტექნოლოგიების, ქართველური ენობრივი სამყაროს სიღრმისეული კვლევის, ასევე: ქართულ-თურქული, ქართულ-სომხური, ქართულ-სპარსული, ქართულ-ბერძნული... ენობრივი ურთიერთობების კვლევის მიმართულებებით.

პროგრამით გათვალისწინებულ კურსებს კითხულობენ ცნობილი სპეციალისტები, რომელთაც აქვთ წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკაც.

სასწავლო კომპონენტი:

ფილოლოგიის დარგის სამეცნიერო კვლევის მეთოდები და სამეცნიერო ნაშრომის აგების პრინციპები - 6 სწავლების თანამედროვე მეთოდები - 6

პროფესორის ასისტენტობა - 6

სპეციალობის არჩევითი საგანი I - 6 კრედიტი

სპეციალობის არჩევითი საგანი II - 6 კრედიტი

I სემინარი - 12

II სემინარი - 12

კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება უმაღლეს დონეზე ფილოლოგიის დარგის ცოდნა; კერძოდ, უმაღლეს სასწავლებელში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრში; სკოლაში, გამომცემლობაში, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში... კერძოდ, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც პროფესიონალ მკვლევარსა და აკადემიურ მუშაკს (ლექტორს, მეცნიერ-თანაშრომელს), მუშაობა შეეძლება:

- ნებისმიერი უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, ლაბორატორია...) და ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში/ცენტრში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმში;
- ბიბლიოთეკასა და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციაში;
- საზღვარგარეთის ქართველოლოგიური მიმართულების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში;
- სახელისუფლებო ორგანოში (მაგ., ენის სახელმწიფო დეპარტამენტი) და სხვ.

1. მიზანი:

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიკური კადრები, რომელთაც ათვისებული ექნებათ თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევები და საკუთარ წვლილს შეიტანენ დარგის განვითარებაში. პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის მიმართულებით მოამზადოს ისეთი მაღალკვალიფიციური მეცნიერი, რომელსაც:

- ექნება ფუნდამენტური ცოდნა მის მიერ არჩეულ დისციპლინაში;
- ათვისებული ექნება ფილოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები;
- შეეძლება ქართული ფილოლოგიის ძირითადი პრობლემების კომპლექსური ანალიზი და ქართველური ენათმეცნიერების, ან ქართული ლიტერატურის ისტორიის, ან საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკის, ან ქართული თარგმანების აქტუალური პრობლემების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კვლევა;
- გამომუშავებული ექნება პედაგოგიკური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- შეეძლება დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავება და სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა-წარმართვა;
- წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, თავის წვლილს შეიტანს ქართული ფილოლოგიის სფეროში ბოლო დრომდე ინერციით არსებული საბჭოთა სტერეოტიპებისა თუ იდეოლოგიემების დაბალანსებისა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების ინტეგრაციის პროცესში.

კვლევის სავარაუდო თემატიკა. ქართულ უნივერსიტეტში აფილირებული პროფესორებისა და პროგრამის განმახორციელებლების საკვლევი პრობლემატიკის შესაბამისად, ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორანტის საკვლევი ველი შეიძლება იყოს შემდეგი მიმართულებები (რომელთა ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა):

- საერთოქართველური ენის დივერგენციისა და რეკონსტრუქციის პრობლემები;
- ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ონომასტიკის საკითხები;
- ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურა /დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი: ძირითადად, ქართველური ქვესისტემების ურთიერთშეპირისპირება; ასევე: ქართველურის შედარება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ და არამონათესავე ენებთან/;
- ქართველური ენა-კილოების სახელის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართველური ენა-კილოების ზმნის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართველური ენა-კილოების ლექსიკა (სახელდების მოტივაცია და ეტიმოლოგიური ძიებები);
- ქართველური ენა-კილოების სინტაგმა (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართველური ენა-კილოების წინადადების ანალიზი (სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით);
- ქართველური სამწიგნობრო ენის ტექნოლოგიზება;
- ტექსტის ლინგვისტიკა;
- ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირება;
- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში;
- საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაცია;
- ცალკეული ქართველური ენობრივი ქვესისტემების (სვანური, მეგრულ-ლაზური, რაჭული, მესხური, ფხოური, ჰერული...) ახალი ტექსტების ჩაწერა და მონოგრაფიული ანალიზი /ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსისათვის);
- ქართული ლიტერატურის ისტორიის აქტუალური საკითხები;
- ქართული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების ისტორიის პრობლემები;
- ქართული მწერლობის ძეგლების ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი ასპექტების კვლევა;
- ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური და კომპარატივისტული ანალიზი;
- ქართული ლიტერატურის კვლევა კონცეპტების მიხედვით;
- ძველი ქართული თარგმანების თავისებურებანი და მნიშვნელობა მედიევისტურ კვლევაში;
- ბიზანტიური ტექსტების ქართული ინტერპრეტაციები თარგმანის თეორიათა და კულტურული ორიენტაციის კონტექსტში;
- ქართული მწერლობა და ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები;
- ქართული ლიტერატურა ტრადიციისა და ნოვატორობის ინტერდისციპლინური კვლევის კონტექსტში;

- ქართული ლიტერატურის ჟანრული მოდიფიკაციები;
- ლიტერატურის ისტორიის, თეორიის, პოეტიკისა და ვერსიფიკაციის საკითხები;
- ტექსტოლოგიისა და ტექსტუალური კრიტიკის პრობლემები;
- ხელნაწერმცოდნეობითი კვლევა;
- ქართული თარგმანის ისტორიის, თარგმანის კრიტიკის, ჰერმენევტიკის აქტუალური საკითხები და სხვ.

2. სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- I. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ფილოლოგიურ დისციპლინაში;
 - II. ათვისებული აქვს დარგის კვლევის ინოვაციური მეთოდები, შეუძლია შესაბამისი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება;
 - III. შეუძლია საერთაშორისო სტანდარტებით კვლევა ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ზოგადი ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით;
 - IV. გამომუშავებული აქვს სამეცნიერო სფეროში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების ან გადაფასების უნარი;
 - V. შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით, აკადემიური სტანდარტების სრული დაცვითა და ადეკვატური ენობრივი სტილით თავისი ცოდნისა და კვლევის შედეგების წარდგენა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე;
 - VI. აქვს წინააღმდეგობრივი მონაცემების შეჯერების, სისტემატიზებისა და აკადემიური დასკვნების გამოტანის უნარი.
 - VII. შეუძლია სამეცნიერო პოლემიკაში ჩართვა და ოპონირება, სხვათა კვლევის შედეგების გამოყენება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
 - VIII. აქვს სწავლისა და კვლევის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მართვის, სამეცნიერო პროექტის შექმნისა და წარდგენის უნარი.
 - IX. ათვისებული აქვს სწავლების თანამედროვე მეთოდები, შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება, ახალი ცოდნის არა მხოლოდ შექმნა, არამედ - გადაცემა.
- გაცნობიერებული აქვს აკადემიური ეთიკის ღირებულებები, პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას და თავისი წვლილი შეაქვს ფილოლოგიის დარგში ახალ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში.

3. შეფასების სისტემა

სადოქტორო პროგრამა დაკომპლექტებულია სასწავლო კომპონენტებით და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით.

დოქტორანტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ამასთან, შეფასების წესი განსხვავებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კვლევითი კომპონენტებისთვის.

სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში:

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასება მოიცავს მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში დეტალური ინფორმაცია დოქტორანტისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით.

შეფასების სისტემა, სასწავლო კომპონენტის მიზნებისთვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება:

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სამეცნიერო-კვლევითი შეფასების საკითხებს დეტალურად აწესრიგებს ფაკულტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება:

1. მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში;
2. ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსულის) ცოდნა არანაკლებ **B2** დონეზე. ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კონკურსის აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას/ტესტირებას მის მიერ არჩეულ უცხო ენაში. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას;
3. ქართველოლოგიის (ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის და ლიტერატურათმცოდნეობის. ქართული თარგმანის ისტორიის, კრიტიკის) რომელიმე მიმართულების ძირითადი პრობლემათიკის ცოდნა /სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება გასაუბრების ფორმატით სკოლაში შექმნილ დარგობრივ კომისიის მიერ დოქტორანტის მიერ არჩეული სპეციალისტის გათვალისწინებით/;
4. სამოტივაციო წერილი;
5. საკვალიფიკაციო ნაშრომის პროექტი კვლევის ელემენტებითა და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულების რეალისტური გეგმით (დადასტურებულია სავარაუდო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილით).

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი,

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევითვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს.